ზურაბ კიკნაძე

ერთიანობა მოძღვართა და მოწაფეთა

უნივერსიტეტი, როგორც თავის თავდაპირველ სამშობლოში, ისე ჩვენში, თავისუფლების პირობებში შეიქმნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი თავისუფალია თავისი წარმოშობით, როგორც უფლისწული, რომელიც მემკვიდრეობად იღებს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რისთვისაც ის შობითგანვეა მოწოდებული - უნივერსიტეტის მოწოდება კი ჭეშმარიტების (მისი თავისუფალი ძიება-გაზიარების) სამსახურია, თუნდაც იყოს ის (და იყო კიდეც ჩვენშიც და ყოფილა სხვაგანაც) ტყვეობაში, მაგრამ ტყვეობას მისთვის ვერ წაურთმევია ის შინაგანი მემკვიდრეობა, რომელიც მას გადმოეცემოდა განუწყვეტლივ და ატარებდა მუდამ, ფარულად თუ ცხადად, როგორც მონადგაყიდული პლატონი თანდაყოლილ სიბრძნეს და პლატონადვე, სულის აზნაურად რჩებოდა. ასევე თბილისის ალმა მატერი კვლავ რჩებოდა "გამზრდელ დედად" თაობებისთვის პოლიტიკური, სოციალური თუ ზნეობრივ-იდეოლოგიური ძალადობის ხანაშიც.

ამ უკანასკნელი წლების ორომტრიალის, ძველის და ყველაფრის ლეწვა-ნგრევის ხანაში უნივერსიტეტისათვის ყველაზე ბუნებრივი, აქტუალური მოთხოვნა მისი ავტონომიურობის, თუ გავყვებით ზემოთ მოხმობილ მეტაფორას, მისი აზნაურობის აღდგენა იყო. მაშინ ამ აქტში ვჭვრეტდით ქვეყნის აღდგენილი დამოუკიდებლობის ხატს, რადგან უნივერსიტეტის ბედში შეგვეძლო მთელი ქვეყნის ბედი ამოგვეკითხა. თავისუფლად შობილი ჩვენი უნივერსიტეტის ხანმოკლე, მაგრამ მრავალტანჯული ცხოვრება ხომ თავის თავში ირეკლავდა საქართველოს უკანასკნელი ხანის ისტორიას. ამიტომ ვფიქრობდით, რომ მისი თავისუფლება ქვეყნის თავისუფლების წინამორბედი იქნებოდა.

ავტონომიურობა, თავისი თანდაყოლილი ნიშანი, უნივერსიტეტმა დაიბრუნა, მაგრამ ამ თავისუფლებაში ის ღატაკი და უპოვარი აღმოჩნდა, როგორც არასდროს. და მაინც მოპოვებულია ის აუცილებელი ნიადაგი, რომელიც ნაყოფიერ ხოდაბუნად უნდა იქცეს. უკიდურესი სიდუხჭირის - უსახსრობის, უსინათლობის, სიცივის, უგზოობის პირობებშიც კი, თუ ადამიანი - სწავლული, პედაგოგი, მოწაფე, მიჰყვება ერთხელვე ნაგრძნობ მოწოდებას, შეიძლება ხორციელდებოდეს ის მინიმუმი მაინც, რისთვისაც არსებობს უნივერსიტეტი. ხოლო მის არსებობას შეინახავს და დაიცავს ის ორმაგი პასუხისმგებლობა, რომელსაც თავად მისი დასაბამიერი სახელწოდება ამხელს: universitas magistrorum et scholarium "ერთიანობა მოძღვართა და მოწაფეთა", რაც გულისხმობს შემოქმედებით ურთიერთობას ამ ორ მხარეს შორის, რომელთაგან თითოეული პასუხისმგებელია მეორის წინაშე. თითოეულს თავისი საკუთრივი წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის აწმყოში სამომავლოდ. ეს არის კავშირი, სადაც ერთი ამდიდრებს მეორეს თავისი კუთვნილით: ერთი ახვედრებს ცოდნას და ჭეშმარიტების ძიების ასპარეზს, მეორეს მოაქვს ახალგაზრდული სული - მარადი განახლების საწინდარი, და ჭეშმარიტების ძიების წყურვილი, რომელიც ბადებს ახალ ჭეშმარიტებას.

ეს არის კერა, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან თაობები. აქ არის მუდმივიც, როგორც ქვიშა, როგორც საფუძველი, და არის მედინიც, როგორც წყალი, სიახლის მასხურებელი. აქ თავს იყრის ის ხალხი, ვისთვისაც სწავლა და სწავლება ერთადერთი პრესტიჟი და პრივილეგიაა, ვინც მოწოდებულია ამგვარი საქმიანობისათვის, და თავად ამ საქმიანობის შედეგებში, არა მის გარეთ, ეძებს ჯილდოს.

მართალია, სწავლება და სწავლა თავისი არსით ელიტარულია - აქ მცირედნი არიან წოდებულ, მაგრამ თავად პროცესი ცოდნის გადაცემისა უაღრესად დემოკრატიულია. ის არამც და არამც არ გულისხმობს ცალმხრივ მიმართულებას მასწავლებლიდან მოწაფისკენ. მასწავლებელი, თუ ის ამავე დროს მკვლევარია, ცოდნის გადაცემის პროცესშიც, არა მხოლოდ თავის ჩაკეტილ კაბინეტში, არა მხოლოდ მარტოობაში, უნდა მიიკვლევდეს გზას ჭეშმარიტებისკენ. ის უნდა გრძნობდეს, რომ აუდიტორიაში, იმ სივრცეში, რომელიც თითქოს აშორებს მას მისი მსმენელისგან, შეიძლება დაიბადოს ახალი აზრი, როგორც გაკვესებული ნაპერწკალი. მაშინ ჭეშმარიტების მიგნებაში მსმენელსაც, თუნდაც მდუმარეს, ექნება თავისი წილი ჩადებული. ლექტორი ამას გრძნობს და ეს ამხნევებს მას და იქნებ ავალდებულებდეს კიდეც, რომ კვლავ და კვლავ, წლიდან წლამდე, განახლებულ აუდიტორიებში გამოსცადოს აქ ერთხელ გაჩენილი აზრი, რომელიც უკვე თავისი დასრულებული სახით თანაბრად ეკუთვნის ორივე მხარეს ანუ უნივერსიტეტს - "ერთიანობას მოძღვართა და მოწაფეთა". ამ ნიშნით განსხვავდება უნივერსიტეტი საშუალო სკოლისგან და ყველა სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან, რომელთაც უზურპატორულად მიიკუთვნეს უნივერსიტეტის სახელი.

დღეს, ამ სიდუხჭირისა და გულგატეხილობის ხანაში უნივერსიტეტი მოელის თავდადებას თავის მამათა და შვილთაგან, როგორც არასდროს, თუნდაც ეს იყოს აჩრდილი იმ თავდადებისა, რამაც ამ სამოცდათექვსმეტი წლის წინათ ერთ მუჭა ქართველ ელიტას შეაძლებინა მისი დაარსება. მხოლოდ თავდავიწყებით, მხოლოდ მოწოდების შეგნებით, სულიერ და ფიზიკურ ძალთა სრული ხმევით თუ გადარჩება უკეთესი დროებისთვის ის, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შესაძლებელია. თუმცა ახლაც კი, ამ უმსგავსო ხანაში, ამ მორყეულ ხომალდზე უნივერსიტეტს ძალუცს აჩვენოს სიმედგრისა და ერთგულების მაგალითი.

"თბილისი", 24.05.1994.